საუკეთესო სტუდენტური თარგმანისათვის უცხოურიდან ქართულ და ქართულიდან უცხო ენებზე პრეზიდენტის ადმინისტრაცია ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდოს მოსაპოვებლად კონკურსს აცხადებს.

ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდო გაიცემა **შემდეგ** ნომინაციებში;

- პროზის საუკეთესო თარგმანი
- პოეზიის საუკეთსო თარგმანი
- სამეცნიერო ნაშრომის საუკეთსო თარგმანი
- ესეს და დოკუმენტური პროზის საუკეთსო თარგმანი

კონკურსის მიზანია ახალგაზრდებს შორის მთარგმნელობითი საქმიანობის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინიციატივების წახალისება;

კონკურსის პირობები:

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში არსებული უნივერსიტეტების სტუდენტებს და დოქტორანტებს (35 წლამდე)
- **დიასპორის წარმომადგენლებს უნივერსიტეტში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.**
- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებმა თავიანთი უნივერსიტეტის კანცელარიაში უნდა წარადგინონ საბუთები და საკონკურსო თარგმანი
- საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხოურ უნივერსიტეტებში სწავლობენ შეუძლიათ თარგმანი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარადგინონ მეილზე info@president.gov.ge თანდართული სტუდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის ეტაპები:

- უნივერსიტეტში, რომელსაც აქვს კონკურსში მონაწილეობის სურვილი, რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების ნაშრომების განხილვის, მათ შორის ორივე ნომინაციის მიხედვით თითო საუკეთესოს გამოვლენისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარდგენის მიზნით.
- პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უნივერსიტეტებიდან შემოსული თარგმანებიდან ოთხივე ნომინაციის მიხედვით დასაჯილდოებლად გამოავლენს კანდიდატებს და თავის გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.
- საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი კანდიდატების დაჯილოების შესახებ.

კონკურსის ვადები:

- კონკური ცხადდება 2023 წლის 1 მარტს.
- საკონკურსო თარგმანების, მათი ორიგინალების და საბუთების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენა სტუდენტებს შეუძლიათ 2023 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.
- პრეზიდენტის ადმინისტრაციას საკონკურსო ნამუშევრები წარედგინება არაუგვიანეს 2023 წლის 1 ნოემბრისა.
- პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შექმნილი სამუშაო ჯგუფი გამოავლენს საუკეთესო თარგმანებს და საქართველოს პრეზიდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს 2023 წლის 15 დეკემბრამდე.
- გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართება 2023 წლის მიწურულს ორბელიანების სასახლეში

საკონტაქტო ინფორმაცია:

- კოორდინატორი: ირინე შენგელია - საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ოფიციალური ღონისძიებების ორგანიზების საკითხებში
- ელექტრონული მისამართი: info@president.gov.ge
- სატელეფონო ნომერი: (+995) 599 147 168